

შპს ცოტნე

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული

საანგარიშგებო წლისთვის

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
სრული შემოსავლის ანგარიშგება	4
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	5

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია	6
2. მომზადების საფუძვლები	6
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა.....	6
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები	9
5. ძირითადი საშუალებები.....	10
6. არამატერიალური აქტივები.....	10
7. მარაგები	11
8. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	11
9. ფული და ფულის ეკვივალენტები.....	12
10. ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი	12
11. ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები	12
12. სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)	12
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი) წარმოდგენილია შემდეგნაირად:.....	12
13. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	13

შპს ცოტნე

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბრისთვის

(ქართულ ლარში)

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2019	1 იანვარი 2019
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
საინვესტიციო ქონება		-	-
ძირითადი საშუალებები	5	980,576	815,964
არამატერიალური აქტივები	6	62,042	79,029
ინვესტიციები		-	-
სულ გრძელვადიანი აქტივები		1,042,618	894,993
მიმდინარე აქტივები			
მარაგები	7	22,581	7,538
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	8	300,284	62,073
გადახდილი ავანსები		7,012	-
საგადასახადო აქტივი		-	-
დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები		-	-
ფული და ფულის ექვივალენტები	9	584,150	489,381
სულ მიმდინარე აქტივები		914,027	558,991
სულ აქტივები		1,956,645	1,453,984
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		374,010	374,010
გაუნაწილებელი მოგება		1,445,248	1,073,133
სულ კაპიტალი		1,819,258	1,447,143
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გადავადებული მოგების გადასახადი		-	-
სასესხო ვალდებულებები		-	-
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		-	-
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები		87,490	3,083
საგადასახადო ვალდებულებები		47,413	1,279
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები		2,484	2,479
სულ მიმდინარე ვალდებულებები		137,386	6,841
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		1,956,644	1,453,984

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის, ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2020 წლის 30 სექტემბერს შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი

პავლე გოგშელიძე

7-13 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს ცოტნე

სრული შემოსავლის ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ქართულ ლარში)

	შენიშვნა	2019
შემოსავალი საქონლის მიწოდებიდან		1,348,714
შემოსავალი მომსახურების გაწევიდან		2,118,006
საიჯარო შემოსავალი		16,610
სხვა შემოსავალი		5,243
საერთო მოგება		3,488,574
საცხებ-საპოხი მასალების თვითღირებულება		(2,720,932)
გადამუშავების დანახარჯები		(107,159)
დასაქმებულთა ანაზღაურება	10	(126,900)
ცვეთა და ამორტიზაცია		(109,980)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები	11	(42,101)
საოპერაციო მოგება		381,503
ფინანსური შემოსავალი/(ხარჯი), წმინდა		-
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)	12	(5,412)
კურსთაშორის სხვაობით წარმოშობილი მოგება/(ზარალი), წმინდა	12	(3,976)
წმინდა მოგება		372,115
მოგების გადასახადის ხარჯი		-
მთლიანი სრული მოგება		372,115

7-13 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს ცოტნე

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ქართულ ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ
ნაშთი 2019 წლის 1 იანვრისთვის	374,010	1,073,133	1,447,143
დივიდენდები	-	-	-
წლის მთლიანი სრული მოგება	-	372,115	372,115
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბრისთვის	374,010	1,445,248	1,819,258

7-13 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს ცოტნე

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ქართულ ლარში)

1. ზოგადი ინფორმაცია

წარმოდგენილი ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია შპს ცოტნე - სთვის (შემდგომში „კომპანია“) 2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის.

კომპანია არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც დაარსდა 2013 წელს. ის რეგისტრირებულია სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, ონის რაიონში, სოფელ სორში. საიდენტიფიკაციო ნომრით: 437976460.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს მშენებლობა და სამშენებლო ტექნიკის იჯარა.

2019 წლის 31 დეკემბრისა და 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით კომპანიის მფლობელები არიან:

მფლობელები	31 დეკემბერი 2019	1 იანვარი 2019
პავლე გოგშელიძე	50%	50%
ირაკლი კერვალიშვილი	50%	50%

კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, ონის რაიონი, სოფელი სორი.

2. მომზადების საფუძვლები

ანგარიშგების შესაბამისობა

წარმოდგენილი ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად.

ეს არის კომპანიის მეორე ფინანსური ანგარიშგება, რომელიც მომზადებულია მსს ფასს-ის და მსს ფასს 35-ე განყოფილების „მსს ფასს სტანდარტებზე გადასვლა“ შესაბამისად. კომპანიის მსს ფასზე გადასვლის თარიღია 2018 წლის 1 იანვარი.

კომპანია აღრიცხვას აწარმოებს საქართველოს კანონმდებლობის დაცვით და ფინანსურ ანგარიშგებებს ამზადებს ქართულ ლარში. ფინანსურ ანგარიშგებაში თანხები წარდგენილია დამრგვალების გარეშე, თუ სხვაგვარად არაა მითითებული. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

ფინანსური ანგარიშგების მსს ფასს-ის შესაბამისად მომზადება ითხოვს გარკვეული შეფასებებისა და გადაწყვეტილებების გაკეთებას. ის, ასევე, კომპანიის ხელმძღვანელობისგან მოითხოვს, რომ მსჯელობის საფუძველზე ჩამოაყალიბოს და მიიღოს ყველაზე გონივრული სააღრიცხვო შეფასებები. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები მოცემულია ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მე-4 შენიშვნაში.

შეფასების საფუძველი

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე.

კომპანია ზოგადად არ მოელის, რომ მსს ფასს სტანდარტების 35.11 პუნქტის ფარგლებში განსახორციელებელი რომელიმე შესწორება არაპრაქტიკული იქნება კომპანიისთვის.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალების ერთეულის საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს უშუალოდ დაკავშირებულ ხარჯებს და მომავალი ვალდებულებების სავარაუდო დღევანდელ ღირებულებას, ასევე შემენის მიმდინარე ფასს.

შემდგომი დანახარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ძირითადი საშუალებები ბალანსში ასახულია ისტორიული ღირებულებით, რომელიც შემცირებულია დაგროვილი ცვეთისა და გაუფასურების ზარალით, ასეთის არსებობის შემთხვევაში. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში და ექვემდებარება სასარგებლო მომსახურების ვადის ბოლოს აქტივის ჩამოწერას.

ცვეთა ძირითადი საშუალებების ყველა ჯგუფს ერიცხება წრფივად. სასარგებლო მომსახურების პერიოდი და ცვეთის მეთოდი მიმოხილვა ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ღირებულების ცვლილების ეფექტის გათვალისწინებით, პერსპექტიულ საფუძველზე.

ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი წლიური განაკვეთები:

ნაგებობები	5%
მანქანა - დანადგარები	10 - 20%
ოფისის აღჭურვილობა	20%
სატრანსპორტო საშუალებები	6.67% - 20%

ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად წარმოშობილი მოგება ან ზარალი განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული თანხის შედარებით და ჩაირთვება სხვა შემოსავლების/ხარჯების კატეგორიაში, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

მარაგები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და შეფასებით გასაყიდ ფასს შორის უმცირესი თანხით, რომელსაც გამოკლებულია აქვს პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯები. თვითღირებულება შედგება მარაგების შესყიდვისა და მათ საჭირო მდებარეობამდე და მდგომარეობამდე მიყვანის ყველანაირი დანახარჯისგან (მაგალითად: ტრანსპორტირების ხარჯი, საბაჟო მოსაკრებელი და სხვა პირდაპირ მიკუთვნებადი ხარჯები). რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულების განსაზღვრისთვის გამოიყენება საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდი.

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები არის აქტივები, რომლებიც იოლად კონვერტირებადია ფულად სახსრებში და ექვემდებარება ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკს. ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ფულს საღარიბოში და ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე სამ თვემდე ვადით. სამ თვეზე მეტი ვადიანობით შეზღუდული სახსრები არ შედის ფულისა და ფულის ეკვივალენტებში.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები არის საოპერაციო საქმიანობის ფარგლებში გაწეული სერვისის ან მიწოდებული საქონლის სანაცვლოდ მომხმარებლებისგან მისაღები თანხები. სავაჭრო და სხვა მოთხოვნების აღიარება თავდაპირველად ხდება რეალური ღირებულებით, ხოლო შემდგომ ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, გაუფასურების ანარიცხის გამოკლებით.

ფინანსური აქტივები გაუფასურებულად ითვლება მაშინ, როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ფინანსური აქტივის პირველადი აღიარების შემდეგ დამდგარმა ერთმა ან ერთზე მეტმა მოვლენამ გავლენა მოახდინა მოთხოვნიდან მოსალოდნელ სამომავლო ფულად ნაკადებზე. გაუფასურების ზარალის ოდენობა განისაზღვრება, როგორც სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და სამომავლო ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებას შორის, რომელიც მიიღება ფინანსური აქტივის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით დისკონტირების მეშვეობით.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები არის საოპერაციო საქმიანობის ფარგლებში მიღებული სერვისის ან შეძენილი საქონლის სანაცვლოდ მომწოდებლისთვის გადასახდელი თანხები. სავაჭრო და სხვა ვალდებულებების აღიარება თავდაპირველად ხდება რეალური ღირებულებით, ხოლო შემდგომ ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

კაპიტალი და დივიდენდები

კაპიტალი შედგება საწესდებო კაპიტალისა და გაუნაწილებელი მოგებისგან. დივიდენდები აღირიცხება კაპიტალში იმ პერიოდში, როდესაც გამოცხადდება. ნებისმიერი დივიდენდი, რომელიც ცხადდება საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ და ფინანსური ანგარიშგების გამოსაქვეყნებლად ნების დართვის თარიღამდე, იშიფრება საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენების შენიშვნაში.

დაბეგვრა

2017 წლის 1 იანვრიდან მოგების გადასახადის ახალი მოდელი შევიდა ძალაში. აღნიშნული ცვლილების მიზანი მოგების გადასახადის ადმინისტრირების გამარტივება და ბიზნესის ზრდის ხელშეწყობაა. ახალ მოდელში მთავარ ცვლილებას ერთობლივი შემოსავლის დაბეგვრის გადავადებაა, გაუნაწილებელი მოგების დივიდენდის სახით გაცემამდე. აღნიშნული ცვლილება გაზრდის მოგების რეინვესტირების მოცულობას. მოგების გადასახადის განაკვეთი არ იცვლება და ძველი მოდელის მსგავსად 15% რჩება. დამატებით წლიურად დაბეგვრის ნაცვლად, გადასახადის დარიცხვა ყოველთვიურად მოხდება. მოგების გადასახადის ახალი მოდელის მიხედვით დაბეგვრის ობიექტს წარმოადგენს შემდეგი ტრანზაქციები/გადახდები: დივიდენდის გაცემა; სხვაობა კონტრაქტის ღირებულებასა და საბაზრო ფასს შორის; ხარჯები, რომლებიც დაკავშირებული არ არის ეკონომიკურ საქმიანობასთან; საჩუქრები; წარმომადგენლობითი ხარჯები ლიმიტს ზემოთ. მოგების გადასახადის ახალი მოდელის სპეციფიკიდან გამომდინარე საგადასახადო და ფინანსურ ბაზებს შორის სხვაობა არ გვაქვს. შესაბამისად, არ წარმოიქმნება გადავადებული გადასახადი.

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

შემოსავალი

შემოსავლის აღრიცხვა ხდება მაშინ, როდესაც ეკონომიკური სარგებლის მიღების ალბათობა მაღალია და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. შემოსავლების შეფასება ხდება სამართლიანი ღირებულების ოდენობით, ნებისმიერი ფასდაკლების, საბითუმო ფასდაკლების და დღგ-ს გამოკლებით.

საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული შემოსავლების აღრიცხვა ხდება მაშინ, როდესაც კომპანია მომხმარებელს გადასცემს მფლობელობასთან და მართვასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან რისკებს და სარგებელს.

ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რომელიც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს.

ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარაა მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი

ხელფასები, ბონუსები და არაფულადი შეღავათები აღიარდება იმ წელს, როდესაც თანამშრომელმა გასწია შესაბამისი მომსახურება.

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები და ასევე მოვლენები ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე, რომელიც გვაწვდის დამატებით ინფორმაციას კომპანიის ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების შესახებ, შეტანილია ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი არსებითი მოვლენები, რომლებიც არ ახდენენ გავლენას ჯგუფის ფინანსური ანგარიშგების მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის დღისათვის, ასევე წარმოდგენილია ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და დაშვებების შემუშავებას მომავალ პერიოდებთან დაკავშირებით. მსგავსი შეფასებები და დაშვებები მუდმივად მუშავდება ისტორიულ გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, მათ შორის, ისეთი მომავალი მოვლენების გათვალისწინებით, რომელიც მოსალოდნელია გონივრულ ფარგლებში. მომავალში მიღებული ფაქტობრივი შედეგი შესაძლოა განსხვავდებოდეს აღნიშნული შეფასებებისა და დაშვებებისგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები

აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, ხელმძღვანელობა განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის გამოყენება. ჩამოთვლილი პირობებისა თუ შეფასებების სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის განაკვეთის კორექტირება. დამატებითი ინფორმაცია ძირითადი საშუალებების წმინდა საბალანსო ღირებულების შესახებ მოცემულია მე-5 განმარტებით შენიშვნაში.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს ფინანსური აქტივები ფასდება შესაძლო გაუფასურების ნიშნების აღმოსაჩენად. ფინანსური აქტივები გაუფასურებულად ითვლება მაშინ, როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ფინანსური აქტივის პირველადი აღიარების შემდეგ დამდგარმა ერთმა ან ერთზე მეტმა მოვლენამ გავლენა მოახდინა ფინანსური აქტივიდან მოსალოდნელ სამომავლო ფულად ნაკადებზე. კომპანია აფასებს ფინანსური აქტივების გაუფასურებას წარსული გამოცდილების საფუძველზე. მომავალ პერიოდთან დაკავშირებული განუსაზღვრელობებიდან გამომდინარე ფაქტიური შედეგი შესაძლებელია მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს იმ შედეგისგან, რაც აღრიცხულია ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში.

შპს ცოტნე

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ქართულ ლარში)

5. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები 2019 წლის 31 დეკემბრისთვის და 1-ლი იანვრისთვის შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	მიწა	ნაგებობები	მანქანა-დანადგარები	ოფისის აღჭურვილობა	სატრანსპორტო საშუალებები	სულ
ნაშთი 01.01.2019	-	2,900	93,281	2,597	968,465	1,067,243
შემოსვლა	10,500	-	42,329	648	219,000	272,478
გასვლა	-	-	-	-	(17,727)	(17,727)
ნაშთი 31.12.2019	10,500	2,900	135,610	3,246	1,169,738	1,321,994
დაგროვილი ცვეთა						
დაგროვილი ცვეთა 01.01.2019	-	(344)	(25,141)	(1,022)	(224,772)	(251,279)
ცვეთა წლის განმავლობაში	-	(138)	(9,538)	(535)	(82,783)	(92,993)
გასული ძირითადი საშუალებების ცვეთა	-	-	-	-	2,854	2,854
დაგროვილი ცვეთა 31.12.2019	-	(481)	(34,679)	(1,557)	(304,701)	(341,418)
ნეტო საბალანსო ღირებულება						
ნეტო საბალანსო ღირებულება 01.01.2019	-	2,556	68,140	1,575	743,693	815,964
ნეტო საბალანსო ღირებულება 31.12.2019	10,500	2,419	100,931	1,689	865,037	980,576

6. არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები 2019 წლის 31 დეკემბრისთვის და 1-ლი იანვრისთვის შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	ლიცენზიები	სულ
ნაშთი 01.01.2019	84,935	84,935
შემოსვლა	-	-
გასვლა	-	-
ნაშთი 31.12.2019	84,935	84,935
დაგროვილი ცვეთა		
დაგროვილი ცვეთა 01.01.2019	(5,907)	(5,907)
ცვეთა წლის განმავლობაში	(16,987)	(16,987)
გასული ძირითადი საშუალებების ცვეთა	-	-
დაგროვილი ცვეთა 31.12.2019	(22,894)	(22,894)
ნეტო საბალანსო ღირებულება		
ნეტო საბალანსო ღირებულება 01.01.2019	79,029	79,029
ნეტო საბალანსო ღირებულება 31.12.2019	62,041	62,041

შპს ცოტნე

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ქართულ ლარში)

7. მარაგები

მარაგები 2019 წლის 31 დეკემბრისთვის და 1-ლი იანვრისთვის შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2019	1-ლი იანვარი 2019
ნედლეული და მასალები	22,581	7,538
	22,581	7,538

8. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 2019 წლის 31 დეკემბრისთვის და 1-ლი იანვრისთვის შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად

	31 დეკემბერი 2019	1 იანვარი 2019
ფინანსური მოთხოვნები:		
სავაჭრო მოთხოვნები	301,823	62,073
საექვო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი	(1,538)	-
არაფინანსური მოთხოვნები		
გადახდილი ავანსები	7,012	(0)
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	307,296	62,073

სავაჭრო მოთხოვნების ვადაგადაცილება წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2019	1 იანვარი 2019
მიმდინარე	700	176,068.45
ვადაგადაცილებული:		
1-დან 30 დღემდე	41,669.23	80,410.66
31-დან 60 დღემდე	-	16,161.00
61-დან 90 დღემდე	-	3,085.11
91-დან 120 დღემდე	4,550.00	2,150.00
180 დღეზე მეტი ვადაგადაცილება	21,185.00	23,804.23
სულ	68,104.23	301,679.45

შპს ცოტნე

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ქართულ ლარში)

9. ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები 2019 წლის 31 დეკემბრისთვის და 1-ლი იანვრისთვის შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2019	1 იანვარი 2019
ფული ბანკში მიმდინარე ანგარიშებზე, ლარში	554,035	476,178
ფული ბანკში მიმდინარე ანგარიშებზე, უცხოურ ვალუტაში	30,115	13,203
	584,150	489,381

10. ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი

ხელფასები და თანამშრომელთა სარგებელი 2019 წლის 31 დეკემბრისთვის დასრულებული წლისთვის შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	2019
ხელფასები	126,900
სულ ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი	126,900

11. ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები

ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	2019
სხვა საოპერაციო ხარჯები	407
საიჯარო ქირა	2,059
საკონსულტაციო ხარჯები	7,074
სხვა საგადასახადო ხარჯი	24,084
სხვა საერთო ხარჯი	6,938
საექვო მოთხოვნების გაუფასურების ხარჯი	1,538
სულ ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები	42,101

12. სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)

სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი) წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2019
ზარალი აქტივების გასვლიდან	4,873
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)	(10,285)
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან	(3,976)
სულ სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)	(9,387)

13. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები ან ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან, როგორც წარმოდგენილია ბასს 24-ში „ინფორმაცია დაკავშირებულ მხარეებზე“, წარმოადგენს:

(ა) მხარეებს, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ ერთი ან რამდენიმე შუამავლით აკონტროლებენ, კონტროლდებიან ან არიან ერთობლივი კონტროლის ქვეშ ჯგუფთან (მათ შორის, დამფუძნებელ კომპანიასა და ფილიალებთან), ფლობენ წილს ჯგუფში, რაც მნიშვნელოვანი გავლენის მიზეზია და ფლობენ საერთო კონტროლს ჯგუფზე;

(ბ) კომპანიის ან მისი მშობელი საწარმოს ძირითად მმართველ პერსონალს;

(გ) (ა) ან (ბ) პუნქტში ჩამოთვლილთა ოჯახის წევრებს;

(დ) მხარეებს, რომლებიც წარმოადგენენ (გ) ან (ბ) პუნქტში ჩამოთვლილი პირების მიერ კონტროლირებად ან ერთობლივად კონტროლირებად საწარმოებს, ან ამ პირებს მნიშვნელოვანი გავლენა აქვთ მათზე, ან ასეთ საწარმოში ხმის მიცემის უფლება პირდაპირ ან არაპირდაპირ ამ პირების ხელშია.

დაკავშირებულ მხარეებთან ყოველი შესაძლო ურთიერთობის განხილვისას ყურადღება ექცევა ამ ურთიერთობის არსს და არა უბრალოდ იურიდიულ ფორმას. ჯგუფსა და მის დაკავშირებულ მხარეებს შორის ოპერაციების შესახებ დეტალური ინფორმაცია მოცემულია ქვემოთ.